კოლეჯ „აისის“ 2022 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

შინაარსი

შესავალი.....2
კვლევის ამოცანები.....3
კვლევის მიზნები 3
კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე.....3
კვლევის სამიზნე ჯგუფი.....4
გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით.....4
დემოგრაფიული მონაცემები.....6
დასაქმება.....7
კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.....9
კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები.....10
პროფესიული პროგრამის შეფასება.....15
კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხრისხის მიმართ 16
სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება….....17
სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება….....18
დასკვნა.....19

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი შედეგიანობის შეფასების საშუალებას იძლევა. მისი დახმარებით შესაძლებელია სწავლების შედეგების ანალიზი და შეფასება დროის ჭრილში. აღნიშნული კვლევა გვაწვდის მრავალმხრივ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების გზებზე, მათ შორის განათლების გაგრძელების, დასაქმების, თვითდასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებებით. შეგროვილი მონაცემები მოიცავს როგორც ობიექტურ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე კურსდამთავრებულთა პირად აღქმებსა და შეფასებებს, რაც ქმნის საფუძველს სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზისთვის.

წინამდებარე ანგარიში ასახავს კოლეჯ „აისის“ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მდგომარეობის დეტალურ მიმოხილვას. დოკუმენტში განხილულია ძირითადი ტენდენციები, მათ შორის დასაქმების დონე, სასწავლო პროცესით კმაყოფილების ხარისხი და კარიერული განვითარების დინამიკა. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ვიზუალური მასალების ცხრილებისა და გრაფიკების საშუალებით, რომლებიც თან ახლავს განმარტებითი ტექსტი. აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს მონაცემთა მკაფიო ინტერპრეტაციას და ამარტივებს დასკვნების ჩამოყალიბებას.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევას ორი მთავარი ამოცანა აქვს:

- კოლეჯ „აისის“ 2022 წლის კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის ანალიზი სწავლის დასრულების შემდგომ პერიოდში;
- კოლეჯის მიერ შეთავაზებული მომსახურებების შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ჭრილში.

კვლევა გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სასწავლო რესურსები, სწავლის გარემო და სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტი მათ შორის პედაგოგები, სწავლების მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა სწავლის შედეგებზე თითოეული პროგრამის ფარგლებში.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისთვის, ისე მთლიანად დაწესებულების, პროფესიული განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის განვითარებისათვის. კვლევის ანალიზი ქმნის საფუძველს პროფესიული განათლების ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასებისა და სამომავლო განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის.

კვლევის მიზნები

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია შემდეგი მიმართულებების სიღრმისეული შესწავლა:

- პროფესიულ სასწავლებელთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, აქტუალობისა და შრომის ბაზართან შესაბამისობის განსაზღვრა;
- სასწავლო პროცესში მიღებული პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების ანალიზი;
- სასწავლო გარემოს, არსებული რესურსებისა და სწავლების ორგანიზების ხარისხის შეფასება;
- პროგრამის ფარგლებში განვითარებული პროფესიული კომპეტენციების ეფექტიანობის დადგენა;
- პროფესიული პროგრამით საერთო კმაყოფილების მაჩვენებლის განსაზღვრა;
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების შედეგიანობის შეფასება;
- კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის შესწავლა (დასაქმება, სწავლის გაგრძელება და სხვა აქტივობები);
- კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების დონისა და მათი სამომავლო გეგმების ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში, პროფესიული უნარების სააგენტო-ს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, რომლის ფარგლებში ეფექტიანად იქნა გამოყენებული კოლეჯ „აისის“ შიდა ადამიანური რესურსები. პროცესის მართვასა და კოორდინაციას უზრუნველყოფდა ხარისხის მართვის ჯგუფი, კოლეჯის სხვა თანამშრომლების აქტიური და შეთანხმებული მონაწილეობით.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა მეთოდოლოგიურად გამართული, სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნული ინსტრუმენტი ინტეგრირებული იყო სააგენტოს მიერ სპეციალურად შექმნილ თანამედროვე ელექტრონულ პლატფორმაზე. კურსდამთავრებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა, კითხვარი შეევსოთ მოქნილად და დისტანციურად როგორც პერსონალური კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლის უზრუნველყოფას.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ და მისი ფილიალების 2022 წლის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობით, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასწავლო პროგრამა და მოიპოვეს შესაბამისი კვალიფიკაცია.

2022 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა სსიპ კოლეჯ „აისის“ 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის 310 კურსდამთავრებულს.

გამოკითხვის შედეგები პროგრამების მიხედვით

საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისის“ 292-მა კურსდამთავრებულმა, ანუ საერთო რაოდენობის 95%-მა. 18 კურსდამთავრებული კვლევაში არ ჩაერთო.



პროფესიული პროგრამების მიხედვით კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა პროცენტულად ასე გამოიყურება:

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	გამოკითხულთა რაოდენობა	გამოსაკითხთა ჯამური რაოდენობა	გამოპასუხების %
1.	ელექტროობა	32	38	84.2%
2.	თექის დამზადება	9	9	100%
3.	თმისა და სილამაზის მომსახურება	38	40	95%
4.	კულინარიის ხელოვნება	20	21	95.2%
5.	სატყეო საქმე	25	26	96.1%
6.	ქვის სამუშაოების წარმოება	27	29	93.1%
7.	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	15	15	100%
8.	იატაკისა და ფილის სამუშაოები	5	5	100%
9.	ინფორმაციის ტექნოლოგია	7	7	100%
10.	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	13	13	100%
11.	ბუღალტრული აღრიცხვა	19	21	90.4%
12.	მევენახეობა-მეღვინეობა	4	4	100%
13.	მეფუტკრეობა	9	9	100%
14.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	12	12	100%
15.	მხატვრული ქსოვილები	14	14	100%
16.	საოფისე საქმე	7	7	100%
17.	ვეტერინარია	21	25	84%
18.	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	4	4	100%
19.	ხის მხატვრული დამუშავება	11	11	100%

დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხული 292 კურსდამთავრებულიდან 115 იყო ქალი და 177 მამაკაცი, რაც პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: 39% ქალი და 61% მამაკაცი.



რაც შეეხება ასაკობრივ მონაცემებს, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა - 197 ადამიანი (67%) იყო 25 წელზე მეტი ასაკის, ხოლო 15-დან 25 წლამდე ასაკის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 95 ადამიანი (33%).



დასაქმება

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სსიპ კოლეჯ „აისის“ 2022 წლის 292 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 219, რაც შეადგენს გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 75%-ს. რაც შეეხება, უმუშევრობის საერთო მაჩვენებელს, გამოკითხვის მომენტში 73 კურსდამთავრებული, ანუ გამოკითხულთა 25% არის უმუშევარი



საინტერესო იყო კოლეჯის კურსდამთავრებულთა სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის. კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 310 კურსდამთავრებულის სტატუსი პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო კურსდამთავრებულთა 13%, თვითდასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს იყო ასევე კურსდამთავრებულთა 13%, სხვა მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 28%, ხოლო, თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით აღმჩნდა კურსდამთავრებულთა 11%, რაც შეეხება, იმ პირთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტისთვის არ მუშაობდნენ, იყო 35%.



სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა და სტატისტიკა დასაქმების მიმართულებით შემდეგნაირად შეიცვალა:



იმ კურსდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც სწავლის დაწყების წინ იმ პროფესიით იყვნენ დასაქმებულები, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, გაიზარდა 7%-ით და გახდა 20%, ვინც თვითდასაქმებული იყო იმავე პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეს, მათი რაოდენობაც 1%-ით გაიზარდა და 14% გახდა. 7%-ით გაიზარდა სხვა მიმართულებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რიცხვიც და 35%-ს მიაღწია. ვინც თვითდასაქმებული იყო სხვა მიმართულებით, მათი რაოდენობა 3%-ით შემცირდა და გახდა 8%, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პირები პროფესიის მიმართულებით დასაქმდნენ. უმუშევართა რაოდენობაც შემცირდა და გამოკითხვის პროცესში მათი რაოდენობა 25% იყო. უმუშევრობის მიზეზად ძირითადად ოჯახური პირობები ან სწავლის გაგრძელება სახელდება.

2022 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა

N	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის განხორციელების ადგილი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა რაოდენობა	დასაქმებულია	არ მუშაობს	დასაქმების %-ული მაჩვენებელი
1	ელექტროობა	კაჭრეთი და დედოფლისწყარო	38	32	29	4	88%
2	თექის დამზადება	ალვანი და დედოფლისწყარო	9	9	7	2	78%
3	თმისა და სილამაზის მომსახურება	კაჭრეთი, ალვანი, დედოფლისწყარო	40	38	32	6	84%
4	კულინარიის ხელოვნება	კაჭრეთი	21	20	17	9	65%
5	სატყეო საქმე	კაჭრეთი და ლაგოდეხი	26	25	22	3	88%
6	ქვის სამუშაოების წარმოება	დედოფლისწყარო	29	27	23	4	85%
7	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	ლაგოდეხი	15	15	11	4	73%
8	იატაკისა და ფილის სამუშაოები	კაჭრეთი და ლაგოდეხი	5	5	5	0	100%
9	ინფორმაციის ტექნოლოგია	კაჭრეთი	7	7	7	0	100%
10	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	ალვანი	13	13	9	4	69%
11	ბუღალტრული აღრიცხვა	ლაგოდეხი, დედოფლისწყარო	21	19	17	2	90%

12	მევენახეობა-მეღვინეობა	კაჭრეთი	4	4	4	0	100%
14	მეფუტკრეობა	კაჭრეთი	9	9	8	1	89%
15	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	კაჭრეთი	12	12	11	1	91%
16	მხატვრული ქსოვილები	ალვანი	14	14	12	2	86%
17	საოფისე საქმე	ლაგოდეხი	7	7	7	0	100%
18	ვეტერინარია	კაჭრეთი	25	21	18	3	85%
19	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	კაჭრეთი	4	4	3	1	75%
20	ხის მხატვრული დამუშავება	კაჭრეთი	11	11	10	1	91%

კურსდამთავრებულთა სამუშაოს მახასიათებლები

კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში, ასევე, გვაინტერესებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ, დასაქმება ეკონომიკის სექტორის მიხედვით, რანგი, ხელფასი, სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი უნარების და კომპეტენციების ფლობა, ამჟამინდელი სამუშაოს შესაბამისობა პროფესიულ კვალიფიკაციასთან და კარიერული განვითარების შემდგომი გეგმები.ეკონომიკის სექტორის მიხედვით, დასაქმებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის, ელექტროობის, განათლების და ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე კარგი მაჩვენებელია ხელოვნების და მომსახურების (სილამაზის მომსახურება, სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები) სექტორში. დასაქმების შედარებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთ დარგებში, რომლის მიმართულებითაც კოლეჯი „აისი“ პროგრამებს არ ახორციელებს. მაგ: ტექსტილის წარმოება, ტურიზმი, სამთო საქმე და მექანიკური მიმართულებები.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობა, კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ, დაახლოებით 60%-მა უპასუხა, რომ პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარები, უცხო ენა, კომპიუტერული უნარები, შემოქმედებითი, სწავლის, კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრის უნარი და მეწარმეობის უნარი არის ძალიან მნიშვნელოვანი, მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობამ აღნიშნა რომ ამჟამინდელი სამუშაოს შესრულებისას აღნიშნული უნარები არ ჭირდებათ.


უნარებისა და კომპეტენციების ფლობის მნიშვნელობა
მეწარმეობის უნარი
222
36
20
13
10
პრობლემების გადაჭრის უნარი
256
27
14
2
2
გუნდური მუშაობის უნარი
256
27
14
2
2
კრიტიკული აზროვნება
230
39
21
4
7
სწავლის უნარი
241
37
17
1
5
ადაპტაციის უნარი
238
36
15
7
5
შემოქმედებითი უნარი
224
41
27
4
5
კომპიუტერული უნარები
193
37
44
12
15
უცხო ენა
185
34
46
2
24
პროფესიული უნარები
231
36
20
5
9
პროფესიული ცოდნა
228
28
26
8
11
0
50
100
150
200
250
300
ძალიან მნიშვნელოვანია
მნიშვნელოვანია
საშუალოდ მნიშვნელოვანია
არც ისე მნიშვნელოვანია
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი

მონაცემები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული განათლებით და არ საჭიროებს დამატებით გადამზადებას. იმ რესპონდენტთა შორის კი, ვინც დამატებითი განათლების მიღება გადაწყვიტა, მეტმა უპირატესობა მიანიჭა იმავე ან მომიჯნავე სფეროში ცოდნის გაღრმავებას, ვიდრე სრულიად ახალი მიმართულებით გადამზადებას.



რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებას, 32-მა (11%) გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით, 17-მა კურსდამთავრებულმა აირჩია სხვა მიმართულებით სწავლის გაგრძელება (6%). რაც შეეხება დანარჩენ 243 კურსდამთავრებულს (83%), მათ არ გაუგრძელებიათ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მონაცემებიდან იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას არ გაუგრძელებია სწავლა, ხოლო იმ რესპონდენტებს შორის, ვინც გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, მცირედით მეტმა უპირატესობა მიანიჭა იგივე ან მომიჯნავე მიმართულებას სრულიად ახალ სფეროსთან შედარებით.



კურსდამთავრებულთათვის პროფესიული პროგრამების სარგებლიანობის შეფასება განხორციელდა ოთხი ძირითადი მიმართულებით: ადეკვატური სამუშაოს მოძიება, სამსახურში სამუშაოს ეფექტურად შესრულება, პროფესიული კარიერული განვითარება და პიროვნული განვითარება. ყველა მიმართულებაში გამოიკვეთა მკაფიოდ დადებითი ტენდენცია.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ (70-82%) პროგრამები შეაფასა როგორც "ძალიან სასარგებლო" ყველა ზემოხსენებული მიზნისთვის. დამატებით, კურსდამთავრებულთა 9-12%-მა პროგრამა "სასარგებლოდ" მიიჩნია. მხოლოდ ძალიან



მცირე ნაწილმა - რესპონდენტთა 2-3%-მა აღნიშნა, რომ პროგრამა "საერთოდ არ იყო სასარგებლო".



ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ თითოეული პროგრამა მაღალეფექტურია როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, ისე პიროვნული და პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამის დადებითი შეფასება (კატეგორიები "ძალიან სასარგებლო" და "სასარგებლო" ერთად) თითოეულ მიმართულებაში აღემატება 90%-ს, რაც მიუთითებს პროფესიული პროგრამების მაღალ ხარისხსა და მის კომპლექსურ სარგებლიანობაზე კურსდამთავრებულთათვის.

პროფესიული პროგრამის შეფასება

კვლევის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულებმა მაღალი მნიშვნელობა მიანიჭეს იმ ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა პროფესიული განათლების არჩევის პროცესზე. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა შემდეგი გარემოებები:

საინტერესო სასწავლო პროგრამა ან პროფესია – 84.75%

საგანმანათლებლო დაწესებულების დადებითი რეპუტაცია – 84%

სწავლის საფასურის არარსებობა – 84%

სწავლის ადგილმდებარეობის ხელმისაწვდომობა და სიმარტივე – 80%

კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა – 74%

კურსის დასრულების შემდეგ დასაქმების მაღალი ალბათობა – 72%

მშობლებისა და ახლობლების რჩევა და მხარდაჭერა – 66%

კურსდამთავრებულთა შეფასებით, აღნიშნული ფაქტორები სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას „ძალიან მნიშვნელოვან“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ეს მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კონკრეტული პროგრამის არჩევა მათთვის გააზრებულ და მიზანმიმართულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.



კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მიმართ



კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს როგორც სასწავლო გარემოს, ისე სწავლების პროცესის ხარისხს. განსაკუთრებით მაღალი შეფასებები დაფიქსირდა შემდეგ მიმართულებებზე:

მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი – 94% სწავლების ხარისხი 90%, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა, მათ შორის შშმ და სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი და ადაპტირებული გარემო 90% სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა 88% სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესსა და მართვაში – 84% სტუდენტებისთვის განკუთვნილ

ექსტრაკურიკულური აქტივობები – 70% საგანმანათლებლო პროცესში მრავალმხრივი და ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობააღნიშნული შედეგები ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულები მნიშვნელობას ანიჭებენ არა მხოლოდ აკადემიურ კომპონენტებს, არამედ სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერასაც. ეს მიუთითებს პროფესიული განათლების პროცესისადმი მათ კომპლექსურ და გააზრებულ დამოკიდებულებაზე.

სწავლისას მიღებული კომპეტენციების შეფასება

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებს დაესვათ კითხვა, რამდენად განივითარეს კონკრეტული უნარები და კომპეტენციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პროცესში. პასუხები ნათლად მიუთითებს, რომ მათი დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული განათლებით და საკუთარ პროფესიულ განვითარებაში პროგრესს ხედავს.

კურსდამთავრებულთა შეფასებით, მათ საფუძვლიანად განივითარეს შემდეგი უნარები და კომპეტენციები:

პროფესიული ცოდნა – 84%, პროფესიული უნარები (პრაქტიკული კომპეტენციები) – 84%, გუნდური მუშაობის უნარი – 83%, სწავლის უნარი – 80%, პრობლემის გადაჭრის უნარი – 78%, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება – 75%, შემოქმედებითი და ახალი იდეების შემუშავების უნარი – 75%, განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი – 75%, მეწარმეობის უნარი – 74%, კომპიუტერული უნარები – 68%, უცხო ენაზე მუშაობის უნარი – 60%.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების პროგრამები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულები განსაკუთრებით დადებითად აფასებენ მათ მიერ შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ მომავალ დასაქმებასა და პროფესიულ წარმატებას უქმნის მყარ საფუძველს.



სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასება

აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს კურსდამთავრებულთა მაღალი საერთო კმაყოფილების დონეზე და ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამამ გაამართლა მათი მოლოდინები როგორც შინაარსობრივი, ისე ორგანიზაციული და პრაქტიკული კუთხით.

დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა კოლეჯ „აისს“ შესაძლებლობას აძლევს სისტემურად შეაფასოს განათლების ხარისხი და დაადგინოს მისი გავლენა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებზე. კოლეჯ „აისის“ 2022 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ დასაქმების საერთო დონე მაღალია.

გამოკითხულთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ თავდაპირველადაც პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა და კოლეჯში სწავლის შემდეგ მათი მოლოდინები გამართლდა. მათი შეფასებით, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და პროფესიის შესასწავლად საჭირო რესურსები უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღებას. კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი კმაყოფილია მიღებული ცოდნითა და უნარებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

განსაკუთრებით საინტერესო იყო კურსდამთავრებულთა კომენტარებისა და რეკომენდაციების თემატური ანალიზი: დადებითი შეფასებები:

- კმაყოფილება მიღებული განათლებით;
- პედაგოგების პროფესიონალიზმისა და მხარდაჭერის ხაზგასმა;
- განათლების უფასო ხელმისაწვდომობის მნიშვნელობის აღნიშვნა;
- კოლეჯის კეთილმოწყობილი და სასიამოვნო გარემოს პოზიტიური შეფასება.

გაუმჯობესების რეკომენდაციები:

ახალი სასწავლო კურსების დამატება;

პროგრამების ადაპტირება საბაზო განათლების მქონე მსმენელთა საჭიროებების გათვალისწინებით;

ჯგუფური მუშაობისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;

სტუდენტთა ნამუშევრების კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

კვლევასთან დაკავშირებული მოსაზრებები:

კვლევა შეფასებულია, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი განათლების ხარისხის

გაუმჯობესებისთვის;

კურსდამთავრებულებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი აზრი;

დადებითად აღინიშნება კოლეჯის ინტერესი კურსდამთავრებულთა პროფესიული მიღწევების მიმართ.

კომენტარების ანალიზი აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულები აფასებენ კოლეჯში მიღებულ განათლებას და მას ხედავენ, როგორც თვითრეალიზაციის მნიშვნელოვან საფუძველს. ამავე დროს, მათი რეკომენდაციები ორიენტირებულია პროგრამების შემდგომ განვითარებასა და პრაქტიკული კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერებაზე.